საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №79

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2018 წ.

„ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№3, 25.07.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული იქნეს **მერაბ მეგრელიშვილი.**
2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს **2018 წლის 01 აგვისტოდან.**
3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირს.
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**